INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.him.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 29 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური

www.him.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
47,62%
79,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
30,77%
75,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
38,75%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
34,62%
16,67%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
9,09%
59,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
19,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება დირექტორის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“ მოცემულია დირექტორის მხოლოდ სახელი და გვარი და ფოტოსურათი:

- არ მოიძიება სამსახურის დირექტორის მოადგილის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“ მოცემულია დირექტორის მოადგილის მხოლოდ სახელი და გვარი და ფოტოსურათი:

პაატა მესხიშვილი

დირექტორის მოადგილე

ამასთან, ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილებები სათაურად „დირექტორი“, და „დირექტორის მოადგილე“ სადაც განთავსდებოდა დირექტორისა და მისი მოადგილის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სამსახურის ფაქსის ნომერი და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია სამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

კონტაქტი

მისამართი: 0119 თბილისი. აკ. წერეთლის გამზ. 144;
ტელეფონი: (+995 322) **555 115**
ელ–ფოსტა: info@him.ge

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასახელება:



6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში, სათაურად „სტრუქტურა“ მოცემულია სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მხოლოდ სახელები და გვარები და ფოტოსურათები:

ნათია ცხოიძე

სამმართველოს უფროსი

- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს - მედიაციის საბჭოს ხელმძღვანელის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები; ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“ მოცემულია სათათბირო ორგანოს - მედიაციის საბჭოს ხელმძღვანელის მხოლოდ სახელი და გვარი და ფოტოსურათი;

- არ მოიძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს - მედიაციის საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა;

- არ მოიძიება სამსახურის სათათბირო ორგანოს - მედიაციის საბჭოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. სამსახურის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამსახურის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები (მოიძიება მხოლოდ კვარტალური ანგარიშები), პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ მოიძიება სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები, რომელთანაც დაკავშირებულია სამსახურის საქმიანობის მიზნები და ამოცანები. არ მოიძიება აგრეთვე, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში დავების განხილვის გადაწყვეტილებების შესაბამისი რეკომენდაციები.

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები, აგრეთვე, სამსახურის დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, აგრეთვე ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტებისა და ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ;

11. სამსახურის ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე მოყვანილი სამსახურის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ცნობები თარიღდება 2011 წლით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს სამსახურის საქმიანობის შესახებ 2011 წლამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:

სიახლეები

გრიგოლეთში მედიის წარმომადგენლებისთვის სემინარი ჩატარდა 25.06.2011

"ჯანმრთელობის სახელწიფო დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური და მედია" ამ თემაზე 25-26 ივნისს, გრიგოლეთში, სასტუმრო "ანდამატში" მედიის წარმომადგენლებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის სემინარი ჩატარდა.

სრულად...

მედიაციის კვირეული - ქ.გორი 08.06.2011

გორში ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. სამსახურის ხელმძღვანელები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და მხარის გუბერნატორი შიდა ქართლის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ მოსახლეობას შეხვდნენ.

სრულად...

მედიაციის კვირეული - ოზურგეთი 04.06.2011

ოზურგეთში ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ გურიის მხარის მოსახლეობას მედიაციის სამსახურის ხელმძღვანელობა შეხვდა.

სრულად...

მედიაციის კვირეული გრძელდება - ქ.ბათუმი 03.06.2011

ბათუმში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის ხელმძღვანელები აჭარის რეგიონის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ მოსახლეობას შეხვდნენ.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-) განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. სამსახურის საქმიანობის ამსახველი 2010 წლის კვარტალური ანგარიშები განთავსებულია ალოგიკურ განყოფილებაში, კერძოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სტატისტიკა“, სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს სამსახურის საქმიანობის 2011 წლის მიმდინარე და კვარტალური ანგარიშებიც :

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური.

14. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამსახურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ქვე-განყოფილება „კანონმდებლობა“ განთავსებულია ალოგიკურ განყოფილებაში, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „დაზღვეულთათვის“, ამასთან მოცემულ ქვე-განყოფილებაში განთავსებულია მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტი. სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავასდეს სამსახურის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრისა და სამსახურის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, დირექტორის მიერ დამტკიცებული სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, აგრეთვე საკანონმდებლო აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები.

სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივნისის N 386 ბრძანებულება „სააჯრო სამართლის იურიდიული პირის - ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის დაფუძნების შესახებ“;
- მინისტრის ინდივიდუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტი სამსახურის სათათბირო ორგანოს - მედიაციის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
- საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე

პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამსახურსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/mediaciissamsaxuri_shesyidvebi.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების

საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამსახურისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/mediaciissamsaxuri_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი

ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
62,50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
73,68%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ძიება**

ძიების მოდულში არ არის მითითებული ავტომატურად ქართული ფონტის გამოყენება:



თუ ვებ-გვერდზე ძიება უშედეგოა უნდა გამოვიდეს შესაბამისი შეტყობინება, ამ შემთხვევაში კი გამოდის ცარიელი გვერდი:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმის გამოყენების შემდეგ, ინგლისურ ენაზე გამოდის შეტყობინება, რომ წერილი წარმატებით გაიგზავნა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გვერდის დიზაინი ფაქტობრივად ქრება:



mail sent

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში გამოდის ქართული წარწერები, რაც უხეში შეცდომაა:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

გამოკითხვის მოდულის არასწორი პროგრაუმული კოდის გამო, ვებ-გვერდის მარცხენა მხარეს გამოდის შეცდომების ნუსხა:

ვებ-გვერდზე, გამოკითხვის მოდულის გამოყენების შემდეგ, მოდული ხელმეორედ გვთავაზობს მონაწილეობის მიღებას იგივე გამოკითხვაში:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან არ ფიქსირდება, გარდა ამისა, ვებ-გვერდის Fan Page-ი Facebook-ზე უყურადღებოდ არის დარჩენილი, რაც გამოიხატება სამსახურის გვერდის გულშემატკივართა რაოდენობიდან:

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის საქაღალდეები (ფოლდერები) არ არის დაცული, შედეგად შეგვიძლია ნებისმიერი საქაღალდის დათვალირება:



საქაღალდეები დაცული უნდა იყოს HTACCESS-ის მეშვეობით;

ვებ-გვერდის ადმინისტრაციის გვერდის მისამართი ჩაწერილია ROBOTS.TXT-ში, რაც არ არის რეკომენდებული, რადგან ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის კიბერ შეტევის განხორციელების შანსს:



ყველაზე უცნაური ფაქტი რაც დაფიქსირდა ვებ-გვერდის მონიტორინგის დროს, ეს არის ვებ-გვერდი HTTPS პროტოკოლზე, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:



რეალურად სულ სხვა ვებ-გვერდი იტვირთება, რაც ნამდვილად უხეში შეცდომაა;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

უნდა აღინიშნოს, რომ **ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის** ვებ-გვერდი, მონიტორინგის პროცესში შესწავლი ვებ-გვერდებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა ელექტრონული კომპონენტის მიხედვით, თუმცა მასზე დაშვებულია რიგი შეცდომებისა, მაგ. ისეთი როგორიც არის სტრუქტურული დარღვევები, მცირე ლოგიკური შეცდომები, რაც გამოიხატება გამოკითხვის მოდულში და სხვა. მთავარი რაც ვებ-გვერდს აკლია, არის ინტეგრაცია სოციალურ ქსელებში, ელექტრონული სერვისები და მომხმარებელთა ონლაინ ჩართულობა.